სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 7 22 0000700290

23/06/2022

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2022 წლის 19 მაისის MES 6 22 0000518058 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 23 ივნისის №01-05-04/77 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 23 ივნისის №01-05-04/77 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, „საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2022 წლის 19 მაისის MES 6 22 0000518058 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონკურსო განცხადებების მიღება გაგრძელდეს 2022 წლის 09 ივლისის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში - თბილისი, კოსტავას, 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 216.

3. კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 18 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 23 ივლისს, საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

4. კონკურსთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2022 წლის 23 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით.

5. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 29 ივლისს.

6. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gtu.ge არა უგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა.“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით